საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლეხურა

ლეხურა, რეხულა, მდინარე ახალგორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში, მტკვრის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს ხარულის ქედის სამხრ. ნაწილში 2025 მ სიმაღლეზე. სიგრძე – 43 კმ, აუზის ფართ. – 285 კმ ^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფულზე, წყალმოვარდნები იშვიათია. საშ. წლიური ხარჯი 2,99 მ ^{3} /წმ. ლ-იდან გაყვანილია სარწყავი არხები.